**ხელშეკრულება №7ს-17**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

**ქ. თბილისი** **28. 03. 2017 წ.**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სსიპ-საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო (შემდგომში - შემსყიდველი ორგანიზაცია), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ მემანიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს პაპირუსპრინტი წარმოდგენილი მისი დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულების საგანი**

1.1 ხელშეკრულების საგანია საქონლის (შემდგომში - შესყიდვის ობიექტი) შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 2015 წლის 17 №13 ბრძანებით დამტკიცებული “გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.2 შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა (კლასიფიკატორის (CPV) კოდი/დასახელება - 30100000/საოფისე მანქანები, კომპიუტერების, პრინტერებისა და ავეჯის გარდა) მიწოდება, მიმწოდებლის სატენდერო წინადადების საფუძველზე.

**2. შესყიდვის ობიექტის ღირებულება**

2.1. შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 187.15 ლარს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, დღგ-ს ჩათვლით.

2.2. საქონლის ერთული ღირებულება მოცემულია დანართი №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი**

3.1. დანართი №1-ში მოცემული რაოდენობის შესაბამისად, შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება არაუგვიანეს 2017 წლის 21 აპრილისა.

3.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ა.ბელიაშვილის ქ.157

**4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი**

4.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად შესყიდვის ობიექტის ფაქტობრივი მიწოდებისა და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის/პირების დადებითი დასკვნის საფუძველზე.

**5. ანგარიშსწორების ფორმა, ვადა და ადგილი**

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება აუნაზღაურდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქონლის მიწოდების შემდეგ, თუ მიმწოდებელი დღგ-ს გადამხდელია, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის, ხოლო თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ს გადამხდელი შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღეში.

5.2. მიმწოდებლისთვის შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პირგასამტეხლოს დაკისრების შემთხვევაში 5.1 პუნქტით ანგარისწორებისთვის გათვალისწინებული ვადის ათვლა დაიწყება დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის და აღნიშნულის დამადასტურებელი ქვითრის შემსყიდველ ორგანიზაციაში წარმოდგენის შემდეგ.

**6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი**

6.1. შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

6.2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია:

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

6.3. შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს:

-განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

-მოსთხოვოს მიმწოდებელს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის კონტროლის შედეგად გამოვლენილი დეფექტების აღმოფხვრა შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:

- ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 21 აპრილისა მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, ა.ბელიაშვილის ქ. №157.

- შესაბამისი წერილობითი შეტყობინებიდან სამი სამუშაო დღის ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის კონტროლის შედეგად გამოვლენილი ქარხნული დეფექტების აღმოფხვრა;

- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა სხვა პირობა.

6.4. მიმწოდებელს უფლება აქვს:

- მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## 7. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

7.1. ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს შემსყიდველი ორგანიზაციის უფლებამოსილი თანამშრომელი ან თანამშრომელთა ჯგუფი.

## 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

8.1. მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულების მხარეს, მის მიერ შესყიდვის ობიექტთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.

8.3. თუ ერთი მხარისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება.

## 9. ფორს-მაჟორული სიტუაციები

9.1. მხარეები პასუხისმგებელნი არ არიან თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ის გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა: წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ხელისშემშლელ გარემოებათა აღმოფხვრის შემდეგ.

9.2. თუ ფორს-მაჟორული გარემოებების გამო სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობა გრძელდება ორ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის მოთხოვნის უფლების გარეშე. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორის გარემოება, დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

## 10. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

10.1. ხელშეკრულებების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს შესყიდვის ობიექტის ღირებულების10%-ისა.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებების და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხარეთა თანხმობის შემთხვევაში. ნებისმიერი ცვლილება და დამატება ხელშეკრულებაში შეიძლება შეტანილ იქნეს მხოლოდ წერილობითი ფორმით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერ ცვლილებაზე უნდა გაფორმდეს შეთანხმება, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მასზე ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 30 ივნისის ჩათვლით.

## 12. დავა და მისი გადაწყვეტის წესი

12.1. წამოჭრილი დავა ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყდეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2. თუ შემსყიდველი ორგანიზაცია და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 13. სხვა პირობები

13.1. საკითხები, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

13.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ერთი ინახება შემყიდველ ორგანიზაციაში, ხოლო ერთი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები, მხარეების წარმომადგენელთა ხელმოწერები, ბეჭედი

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | მიმწოდებელი |
| საქართველოს საგარეო საქმეთა | შპს პაპირუსპრინტი |
| სამინისტროს სსიპ-საქართველოს | მის: ქ. თბილისი, ა.ბელიაშვილის ქ. 157 |
| საერთაშორისო ხელშეკრულებათა | ბანკი: ს/ს „ ლიბერთი ბანკი“ |
| თარგმნის ბიურო | |
| მის: ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. №4 | ა/ა: №GE 69 LB 0113166308205000 |
| საიდენტიფიკაციო კოდი: 204 427 753 | ს/კ: №205277742 |
| | ტელ: 2 22 13 33 |
| **დირექტორი** | **დიმიტრი კვეკვესკირი** |
| **ნიკოლოზ მემანიშვილი** | **დირექტორი** |
| _____ | _____ |

დანართი

შპს პაპირუსპრინტი

04,04,2017

| # | რტიკულ | საქონელი | რაოდ. | ერთ. | იხვოისის ფასი | იხვოისის თანხა: |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ICO380 | მარკერი CD S ICO MIX 38012 | ცალი | 2 | 0,74 | 1,48 |
| 2 | EPU142 | ბლოკნოტი ყოველდღიური PU 2017წ IVORY შავი | ცალი | 2 | 6,37 | 12,74 |
| 3 | PUA5R- | ბლოკნოტი ტყავის რეზინით A5 96ფ DONG PUA5 | ცალი | 2 | 6,37 | 12,74 |
| 4 | SSP50R | ფაილი RD 50 მიკრონი DEKO SSP-100-50H | შეკვრა | 5 | 6,37 | 31,85 |
| 5 | SMR421 | სწრაფჩამკერი CARERA A4 მწვანე 01SMR421YE1-G | ცალი | 20 | 0,26 | 5,2 |
| 6 | SCB-209 | საქაღალდე ღილაკით A4 ყვითელი SF SCB-209A | ცალი | 20 | 0,4927 | 9,85 |
| 7 | SEB-10H | საქაღალდე 2 რეზინით A4 ლურჯი SF SEB-10H | ცალი | 20 | 1,3 | 26 |
| 8 | MF0535 | კლიპსი 15მმ 12ც MEMORIS MF0535-15 800-6 | შეკვრა | 5 | 0,3778 | 1,89 |
| 9 | MF0535 | კლიპსი 19მმ 12ც MEMORIS MF0535-19 800-5 | შეკვრა | 5 | 0,4324 | 2,16 |
| 10 | MF0535 | კლიპსი 32მმ 12ც MEMORIS MF0535-32 800-3 | შეკვრა | 3 | 0,9792 | 2,93 |
| 11 | MF0535 | კლიპსი 41მმ 12ც MEMORIS MF0535-41 800-2 | შეკვრა | 3 | 1,6154 | 4,85 |
| 12 | MF0535 | კლიპსი 51მმ 12 ც MEMORIS MF0535-51 800-1 | შეკვრა | 3 | 2,495 | 7,48 |
| 13 | 900-2 | კლიპსი 63მმ FOSKA 900-2 ნიკელის | ცალი | 45 | 0,416 | 18,47 |
| 14 | AS-05 | სკრეპი 78მმ 50ც FOSKA AS-05 | შეკვრა | 1 | 0,9303 | 0,93 |
| 15 | MF0506 | სკრეპი 33მმ 100ც MEMORIS MF0506-33 (AS-03) | შეკვრა | 1 | 0,3986 | 0,4 |
| 16 | AS-17 | სკრეპი ფერადი 33მმ 100ც პლასტ. კოლოფი FOS | შეკვრა | 3 | 0,91 | 2,73 |
| 17 | MF0512 | ჭიკარტი ლურსმანი ფერადი გამჭვირვალე მ/კ 5 | შეკვრა | 3 | 0,6924 | 2,08 |
| 18 | ICO8400 | მარკერი კომპლექტი ICO 84000 (4 ფერი) | შეკვრა | 2 | 8,9375 | 17,88 |
| 19 | WB701- | მარკერი დაფის 2.8მმ COMIX WB701 შავი | ცალი | 10 | 0,5767 | 5,77 |
| 20 | WE101 | დაფის საწმენდი COMIX WE101 ლურჯი | ცალი | 4 | 4,9299 | 19,72 |
| | | | | | | 187,15 |

სსიპ საქართველოს საერთაშორისო

ხელშეკრულებათა ბიურო

დირექტორი

ნიკოლოზ მემანიშვილი

შპს პაპირუსპრინტი

დირექტორი

დიმიტრი კვეკვესკირი

# მიღება–ჩაბარების აქტი

ქ.თბილისი 4 აპრილი 2017წ

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ სსიპ საქათველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო, მისამართი ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ #4 მისი დირექტორის ნიკოლოზ მემანიშვილის სახით, და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „პაპირუსპრონტი " მისი დირექტორის დიმიტრი კვეკვესკირის სახით (ჩამბარებელი), ვადასტურებთ, რომ 2017 წლის 4 აპრილს პირველმა მიიღო, ხოლო მეორემ ჩააბარა 2017 წლის 28 მარტის N 7ს-17 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი, რომლის ჯამური ღირებულებაა 187,15(ას ოთხმოცდაშვიდი ლარი 15 თ) ლარს.

მხარეების ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

სსიპ ,, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა თარგმნის ბიურო"

---

ნიკოლოზ მემანიშვილი

დირექტორი

შ.პ.ს.„ პაპირუსპრინტი"

---

დიმიტრი კვეკვესკირი

დირექტორი